პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 მაისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 102 (9769) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჭაბუკთა საკავშირო თამაშები ჩვენთან იწყება

**მოახლოვდა** ჭაბუკთა II საკავშირო თამაშების სტარტი. ამ მასშტაბური სპორტული ღონისძიების პროგრამით გათვალისწინებული პირველი შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება. 27 მაისს ვანში დაიწყება მრავალდღიანიველორბოლა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკრაინის ოთხი, რუსეთის ფედერაციის სამი, ყაზახეთის ორი კოლექტივი, აგრეთვე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის (თურქმენეთის გარდა), მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები.

გაგაცნობთ მრავალდღიანი ველორბოლის კალენდარს:

**I ეტაპი. 27 მაისი.** ვანი — მაიაკოვსკი — საირმე.

**II ეტაპი. 28 მაისი.** ვანი — ჩოხატაური — ნაბეღლავი — ვანი (120 კილომეტრი).

**III ეტაპი. 29 მაისი.** ვანი — მაიაკოვსკი — ქუთაისი — სამტრედია — ვანი (110 კილომეტრი).

**IV ეტაპი. 30 მაისი.** ზესტაფონი — გორი (120 კილომეტრი).

31 მაისს დასვენების დღეა.

**V ეტაპი. 1 ივნისი.** წრიული რბოლა თბილისის ზღვის გარშემო (5 წრე, 120 კილომეტრი).

**VI ეტაპი. 2 ივნისი.** თბილისი — ანანური — ჯვარი (120 კილომეტრი).

**VII ეტაპი. 3 ივნისი.** თბილისი — კოდა — ანანური — მანგლისი — კოჯორი.



**VIII ეტაპი. 4 ივნისი.** ინდივიდუალური რბოლა დაყოფილი სტარტით თბილისი — წყნეთი (13 კილომეტრი).

შეჯიბრების დებულების თანახმად გუნდურ ჩათვლას (ორმაგი კოეფიციენტით) იძლევა რვა საუკეთესო შედეგი, პირად ჩათვლას [illegible] ადგილი.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში დაიცავენ პროფკავშირების სპორტსაზოგადოების წარმომადგენლები ვასილი დავიდენკო (თბილისი), გარი კეხბა (რუსთავი), ბაჩუკი ხორგუანი (ქუთაისი), ვიქტორ ოვანესიანი (თბილისი), ვიტალი მუშკუდიანი (ქუთაისი), მამუკა შუბითიძე (ლაგოდეხი).

შეჯიბრების მთავარი მსაჯია სპორტის დამსახურებული ოსტატი ომარ ფხაკაძე (თბილისი).

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# როგორ გაქვთ საქმე, ფინალისტებო?

**30 მაისს** თბილისში დაიწყება კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. I–VI ადგილებისათვის ბრძოლას გააგრძელებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტები, „სინათლე", აგრეთვე ქუთაისისა და სოხუმის კოლექტივები.

გთავაზობთ ფინალური ტურნირის კალენდარს და მსაჯთა გვარებს, რომლებიც ჩემპიონატის მატჩებს მოემსახურებიან.

**30 მაისი.** 17.00 ს. უნივერსიტეტი (თბილისი) — სოხუმი. მსაჯები — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ზ. აბაშიძე (სამტრედია) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. როსტომაშვილი (თბილისი); **18.30.** პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — გ. ავალიშვილი და მ. ქურიძე.



**1 ივნისი. 17.00.** ქუთაისი — სოხუმი. მსაჯები — რ. გელოვანი და გ. მოლოდინაშვილი; **18.30.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები მ. ქურიძე და ა. როსტომაშვილი; **20.00.** უნივერსიტეტი (თბილისი) — „სინათლე" (თბილისი). მსაჯები — გ. ავალიშვილი და ზ. აბაშიძე.

**2 ივნისი.** დასვენების დღე.

**3 ივნისი. 17.00** სოხუმი — უნივერსიტეტი (თბილისი). მსაჯები — ზ. აბაშიძე და ა. როსტომაშვილი; **18.30.** ქუთაისი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — გ. ავალიშვილი და გ. მოლოდინაშვილი; **20.00** „სინათლე" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — მ. ქურიძე და რ. გელოვანი.

**4 ივნისი. 17.00.** სოხუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — მ. ქურიძე და გ. მოლოდინაშვილი; **18.30.** ქუთაისი — „სინათლე" (თბილისი). მსაჯები — გ. ავალიშვილი და რ. გელოვანი;

**5 ივნისი. 13.00.** სოხუმი — ქუთაისი. მსაჯები — რ. გელოვანი და გ. მოლოდინაშვილი; **14.30.** პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — მ. ქურიძე და ა. როსტომაშვილი; **16.00.** „სინათლე" (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი). მსაჯები — გ. ავალიშვილი და ზ. აბაშიძე.

ალბათ შეამჩნიეთ, რომ 4 ივნისს მხოლოდ ორი მატჩი ჩატარდება. ეს იმიტომ, რომ უნივერსიტეტმა და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ერთი შეხვედრა ერთმანეთში უკვე ჩაატარეს. გაიმარჯვა უნივერსიტეტმა — 81:79 (34:29).

რესპუბლიკური ჩემპიონატის დებულების თანახმად ფინალურ ტურნირში მონაწილე კოლექტივებს პირველ ეტაპზე ჩატარებული შეხვედრების შედეგები ეთვლებათ. ამის გათვალისწინებით დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი (თბ.) | 21 | 19 | 2 | 40 |
| „სინათლე" (თბ.) | 20 | 18 | 2 | 38 |
| სპი (თბილისი) | 21 | 16 | 5 | 37 |
| ქუთაისი | 20 | 16 | 4 | 36 |
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 20 | 14 | 5 | 34 |
| სოხუმი | 20 | 12 | 8 | 32 |

რესპუბლიკური ჩემპიონატის სუპერფინალური მატჩები 11-12 ივნისს ჩატარდება.

**31 მაისი. 17.00.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სოხუმი. მსაჯები — ზ. აბაშიძე და გ. მოლოდინაშვილი; **18.30.** „სინათლე" (თბილისი) — ქუთაისი. მსაჯები — რ. გელოვანი და ა. როსტომაშვილი; **20.00.** უნივერსიტეტი (თბილისი) — (თბილისი) — ქუთაისი. მსაჯები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გ. ავალიშვილი (თბილისი) და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი გ. მოლოდინაშვილი (თბილისი); **20.00.** „სინათლე" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). მსაჯები — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მ. ქურიძე (თბილისი) და საკავშირო კატეგორიის მსაჯი რ. გელოვანი (თბილისი).

## ძმობის ტრადიციული დღესასწაული

„ბათუმი — მეგობრობისა და ძმობის ქალაქი" — ასე ეწოდება ტრადიციულ-სახალხო დღესასწაულს, რომელიც გასულ შაბათს გაიმართა. საინტერესო პროგრამას სილამაზე შემატა ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილმა სპორტულმა ღონისძიებებმა. ეს იყო ფართო სანახაობრივი წარმოდგენა ზღვაზე, შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. „დინამოს" სტადიონი კი ასე ხალხმრავალი კარგა ხანია არ ყოფილა.

აქ გამართულ გალა-წარმოდგენაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების 1000-მდე ქალიშვილის მიერ შესრულებულმა მასობრივმა-ფიზკულტურულმა ვარჯიშმა.

ამ დღეს პიონერთა და მოსწავლეთა პარკში საზეიმოდ გაიხსნა ნორჩ მოჭადრაკეთა სასახლე.

**ლევან ქავჟარაძე.**
„ლელოს" საკ. კორ.
ბათუმი.

## რესპუბლიკური უნივერსიადა

23 სახეობის შემდეგ (არაოფიციალური ჩათვლა)

| კოლექტივები | ქულა |
|---|---|
| 1. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 4904,94 |
| 2. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი | 4827,8 |
| 3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 3366 |
| 4. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 2155,1 |
| 5. საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი | 1082,5 |
| 6. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 957,15 |
| 7. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი | 903 |
| 8. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი | 771 |
| 9. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 731,8 |
| 10. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი | 724 |
| 11. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 722 |
| 12. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი | 712 |
| 13. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტი | 653 |
| 14. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი | 602,95 |
| 15. საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი | 327 |
| 16. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი | 72 |
| 17. თბილისის სამხატვრო აკადემია | 6,5 |

არც ერთ სახეობაში არ მიუღია მონაწილეობა თეატრალურ ინსტიტუტს და კონსერვატორიას.

**შენიშვნა:** არაოფიციალური ჩათვლის ეს ცხრილი გუშინ მოგვაწოდეს რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტული კლუბიდან, რომელიც უნივერსიადის ჩატარებას ხელმძღვანელობს.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ ფიზიკურ მომზადებაში აბიტურიენტთათვის ჩასათვლელი ნორმატივების შესახებ გუშინწინ გამოქვეყნდა ცნობა ჩვენს გაზეთში. ამ საკითხთან დაკავშირებით დღესაც გთავაზობთ მასალებს.

იხ. 3-ე გვ.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**პრაღა.** სსრ კავშირის კალათბურთელთა მეორე ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც გრადეც-კრალოვეში მიმდინარეობს, პირველ მატჩში მოუგო იტალიის ნაკრებს — 88:54 (55:24).

**ბარსელონა.** „ბარსელონას" კალათბურთელთა გუნდმა ზედიზედ მეორედ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი. სუპერფინალში „ბარსელონამ" დაამარცხა მადრიდის „რეალი" — 93:79 (47:45).



# კვირას, 29 მაისს

მოახლოვდა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების ფინალური ასპარეზობა.

კვირას, 29 მაისს, 16 საათზე თბილისის კიროვის სახელობის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში უძლიერესი გუნდის გამოსავლენად ერთმანეთს შეხვდებიან სოფელ ქისტაურის (ახმეტა) და სოფელ მეტეხის (კასპი) ფალავნები.

## ...და ერთიც უმცროსი

**ხულ** ახლახანს პროფკავშირული სპორტული საზოგადოების ნორჩ მოფარიკავეთა (1971 წელს დაბადებულები და უმცროსები) რესპუბლიკური საბჭოს გუნდი მონაწილეობდა ლენინგრადში გამართულ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობაში. მანამდე კი მათ საქართველოს პირველობის ჯილდოები გაითამაშეს. აღსანიშნავია, რომ ფარიკაობის ოთხსავე დისციპლინაში გამარჯვება ასპარეზობის მასპინძლებმა — თბილისელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. ხმლით ფარიკაობაში უძლიერესი იყო ლაშა ყიფიანი (მწვრთნელი გოდერძი მახარაძე), დაშნით მოფარიკავეთა შორის ყველას გია თავართქილაძემ აჯობა (იგორ ვახროვი), ხოლო რაპირისტ ჭაბუკებში — გიორგი კვარაცხელიამ (გია აბაშიძე).

გვინდა აღვნიშნოთ თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელის ხათუნა ჰუმბურიძის (მწვრთნელები თამარ დარასელია და ელისო მარსაგიშვილი) წარმატება გოგონათა შეჯიბრებაში. იგი ასაკით ბევრ მეტოქეზე უმცროსი იყო (1973 წელს არის დაბადებული), მაგრამ მაინც შეძლო ტურნირში გამარჯვების მოპოვება.

პირველობაში სულ 179 ნორჩი მუშკეტერი მონაწილეობდა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი; 2. პროფკავშირების ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული საფარიკაო სკოლა; 3. ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიზკულტურა მისაღებ გამოცდებზე

# რისი თქმაც აუცილებელია...

ყოველდღიურად მრავალი აბიტურიენტი და მშობელი მოგვმართავს თხოვნით, განვუმარტოთ სხვადასხვა საკითხი, ვურჩიოთ, სად შეიძლება ვარჯიშის დაწყება და ა. შ. აბსოლუტური უმრავლესობა მიღებულ გადაწყვეტილებას იწონებს. გუშინ, მაგალითად, რამდენიმე ოჯახიდან გახარებულებმა დაგვირეკეს, რომ მათმა შვილებმა ორი ნორმატივი შინ, მშობლების თანდასწრებით „ჩააბარეს", გადააჭარბეს კიდეც მოთხოვნებს და მზად არიან წარდგნენ კომისიის წინაშე.

საერთოდ, სიახლეს მომხრეც ბევრი ჰყავს და მოწინააღმდეგეც. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგენი ძალზე ცოტანი არიან, მაგრამ მათი პოზიციაც ანგარიშგასაწევია და თუ დღეს ამაზე ყურადღებას ვამახვილებთ, იმიტომაც, რომ ასეთებს განვუმარტოთ ზოგიერთი სადავო მოსაზრება. განსაკუთრებით კამათს იწვევს საკითხი: თანაბარი ქულების შემთხვევაში რატომ უნდა მიენიჭოს უპირატესობა იმას, ვისაც ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლა აქვს მიღებული, იმასთან შედარებით, ვინც ექიმის მიერ განთავისუფლებულია ფიზკულტურისაგან ან ჩათვლა ვერ მიიღო? რა, უნიჭოები გინდათ მიიღოთ? — შემოგვიტია ერთმა მშობელმა. რატომ უნიჭოები? თუ ორმა აბიტურიენტმა თანაბარი ქულები მოაგროვა (ვთქვათ, 13 ქულა) და ჩარიცხვისას უპირატესობას ანიჭებენ იმას, ვინც ფიზიკურ მომზადებაში ჩათვლა მიიღო, რა არის ამაში გასაკვირი. გვესმის, ავადმყოფი ვერ ივარჯიშებს, მაგრამ ხომ შეუძლია მეტი იმეცადინოს, მაშასადამე, უკეთ მოემზადოს და იმ „ფიზკულტურელზე" (როგორც განაწყენებული მშობლები უწოდებენ) უკეთესი შეფასება დაიმსახუროს სხვა საგნებში, მოაგროვოს ერთი ქულით მეტი და ყველაფერი იოლად გადაწყდება, საქმეში აღარ ჩაერევა „ჩათვლა" ფიზიკურ მომზადებაში. არა, მცოდნეს და ნიჭიერს არავინ ჩაგრავს, მაგრამ თანაბარი ცოდნის დროს გასაკვირი ის უნდა იყოს, რომ უპირატესობა არ მივანიჭოთ ფიზკულტურელს. ინვალიდები და ავადმყოფები, ცხადია, ჩარიცხვისას ისარგებლებენ უპირატესობით, თუ ეს გათვალისწინებულია დადგენილი შეღავათებით.

ზოგიერთები იმუქრებიან, „გარდაქმნის პროჟექტორს" მივმართავთ კოლექტიური წერილითო. განაწყენების მიზეზი? თურმე, არა გვაქვს საკმაო სპორტული ბაზები, სკოლაში ფიზკულტურა ხელმიშვებულია და ა. შ. ვერ დავმალავთ, მართლაც ასეა, მაგრამ განა საერთო დაინტერესებით ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად ბრძოლას არ ნიშნავს ეს სიახლე? იქნებ ჯობს ძველებურად გავაგრძელოთ და ბოლომდე უმოძრაობის ტყვეობაში დავრჩეთ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდაქმნა სწორედ ეს არის. რაც შეეხება სპორტული ბაზების ნაკლებობას, განა ყოველდღიურად ფიზკულტურაში ვარჯიშს აუცილებლად სტადიონები სჭირდება? მთელი ამერიკა ყოველ დღე, დილით თუ საღამოს ქუჩებში დარბის. ამას თავი დავანებოთ, როგორ ვიყენებთ სპორტულ ბაზებს, ვინმე გვერეკება იქიდან? ცხადია, არა. ინსტიტუტში შემსვლელთათვის წლეულს დაწესებული ნორმატივები კი ისეთია, შეიძლება ოთახიდან გამოუსვლელად მოვამზადოთ. ხუთიდან სამი ნორმატივის შერჩევა ხომ თავად ჩვენზეა დამოკიდებული. მკლავებზე იატაკიდან აძალვას, ჩაბუქნას სტადიონი არ სჭირდება, ბევრი თბილისელი შინ სირბილშიც ვარჯიშობს, ადგილზე დარბის რამდენიმე წუთს. აღარაფერს ვამბობთ ტრენაჟორებით ვარჯიშზე. ან დილის გამამხნევებელი ვარჯიშების შესრულებას რა უდგას წინ, რომ ორგანიზმი გავიკაჟოთ? ხომ ყველა ვხედავთ, საღამოს საათებში ჩაბნელებულია სკოლების სპორტული დარბაზები. არც სკოლისა და საცხოვრებელი მასივების ღია მოედნებია დატვირთული, იქ ძალზე იშვიათად თუ მოკრავთ თვალს 18-28 წლის ახალგაზრდას, ბავშვებსაც კი. არ ვზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე — ეს არის მთავარი. სამაგიეროდ შეგვიძლია საათობით ვუყუროთ ვიდეოფილმებს, ტელეგადაცემებს, ფიზკულტურა კი ყოველთვის გვავიწყდება.

გვეკითხებიან და დაობენ, რომ ცურვა თავის დროზე ვერ ისწავლეს აბიტურიენტებმა, რადგან არ გვყოფნის საცურაო აუზები. სრული ჭეშმარიტებაა, ცურვას შინ ვერ ისწავლი, მაგრამ წელს ცურვის ჩაბარება ხომ სავალდებულო არ არის, მაშასადამე, პრობლემა გათვალისწინებულია (ვიმეორებთ, ხუთიდან სამ სახეობას თავად ირჩევს აბიტურიენტი).

### საუბარი აბიტურიენტებთან

# ათი გაკვეთილი ფიზკულტურაში

**გაკვეთილი მეორე.** ვიმედოვნებთ, პირველი გაკვეთილით კმაყოფილი დარჩით. განწყობილებაც კარგი გაქვთ და მტკიცედ გადაწყვიტეთ მეცადინეობას ბოლომდე გაჰყვეთ. მეორე გაკვეთილი ოდნავ გართულებული იქნება, მაგრამ გვჯერა, ყველაფერს ადვილად გაართმევთ თავს. ამაში თქვენ უკვე დარწმუნდით პირველ დღეს ჩატარებული მეცადინეობით. ვაჟები ახლა დილით ვარჯიშის შემდეგ 500 მეტრის ნაცვლად ნელი ტემპით გაირბენენ 600 მეტრს, შემდეგ — ისევ 50-60 ნაბიჯი, ასევე ნელი ტემპით, იქვე გააკეთეთ ბუქნი წინმკლავით 20-ჯერ. ამის შემდეგ ისევ გაიარეთ 50-60 ნაბიჯი ნელი ტემპით და შეასრულეთ წოლელა მდგომარეობიდან ხელებზე დაყრდნობით ტანის აწევა — 8-ჯერ.

გოგონები ამ დღეს დილის გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ ნელი ტემპით გაირბენენ 350 მეტრს. ბრუნდებიან შინ და ასრულებენ მათთვის გათვალისწინებულ ორ ნორმატივს (1. ზურგზე წოლელა მდგომარეობიდან წამოჯდომა, ხელები თავს უკან — 15-ჯერ; 2. ბუქნი, წინმკლავი — 18-ჯერ). ამ ორ ვარჯიშს შორის შეისვენეთ, რამდენჯერმე გააკეთეთ ხელების თავისუფალი მოძრაობა. ცხადია, შეიძლება ამ სამი ნორმატივის დაცალკევება და დღის სხვადასხვა დროს ვარჯიში, მაგრამ უმჯობესია შემოთავაზებული ვარიანტი, რადგან ჩათვლის მიღებას, ვფიქრობთ, ერთ დღეს, ერთ მიხვლაზე მოისურვებთ და ამიტომ უმჯობესია აქედანვე შეეჩვიოთ.

ბევრს აინტერესებს როგორ მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ მანძილის გაზომვის საშუალება არ არის. ასეთ დროს ნელი ტემპით სირბილისას საათი გამოვიყენოთ. შესაბამისობა ასეთია — ვაჟებმა ყოველი 500 მეტრი უნდა გაირბინოთ დაახლოებით 3 წუთში, გოგონებმა — 3,5 წუთში.

ვაჟებს, თუ ამის სურვილი აქვთ, სირბილის შემდეგ შეუძლიათ ბუქნი და მკლავებზე აწევის ვარჯიშები ასევე შინ შეასრულონ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 101.

**ყურადღება!** შეგახსენებთ, რომ დღეს ჩვენს მიერ განმეორებით შემოთავაზებული 5-5 ნორმატივიდან აბიტურიენტი თავისი სურვილით ირჩევს სამს.

მკითხველთა თხოვნით — **ნორმატივები** — გთავაზობთ განმეორებით

**ფიზიკურ მომზადებაში უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის**

| საკონტროლო ნორმატივები | 16-18 წელი შედეგი | 16-18 წელი შეფასება | 19-28 წელი შედეგი | 19-28 წელი შეფასება | 29-35 წელი შედეგი | 29-35 წელი შეფასება |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | | | |
| 1. რბენა 100 მ. | 15.0 | ჩათვლა | 14.5 | ჩათვლა | 15.5 | ჩათვლა |
| | 14.5 | 4 | 14.0 | 4 | 15.0 | 4 |
| | 14.0 | 5 | 13.5 | 5 | 14.5 | 5 |
| 2. რბენა 1000 მ. | 3.50,0 | ჩათვლა | 3.40,0 | ჩათვლა | 4.05,0 | ჩათვლა |
| | 3.40,0 | 4 | 3.30,0 | 4 | 3.55,0 | 4 |
| | 3.30,0 | 5 | 3.20,0 | 5 | 3.45,0 | 5 |
| 3. იატაკზე წოლბჯენიდან ხელების მოხრა, გაშლა | 10 | ჩათვლა | 12 | ჩათვლა | 8 | ჩათვლა |
| | 15 | 4 | 17 | 4 | 12 | 4 |
| | 20 | 5 | 22 | 5 | 15 | 5 |
| 4. ბუქნი წინმკლავი | 40 | ჩათვლა | 50 | ჩათვლა | 30 | ჩათვლა |
| 5. ცურვა (50 მ. დროის გარეშე). | — | ჩათვლა | — | ჩათვლა | — | ჩათვლა |
| **ქალები** | | | | | | |
| 1. რბენა 100 მ. | 17.0 | ჩათვლა | 16.5 | ჩათვლა | 17.5 | ჩათვლა |
| | 16.5 | 4 | 16.0 | 4 | 17.2 | 4 |
| | 16.0 | 5 | 15.5 | 5 | 16.8 | 5 |
| 2. რბენა 500 მ. | 2.25,0 | ჩათვლა | 2.20,0 | ჩათვლა | 2.30,0 | ჩათვლა |
| | 2.10,0 | 4 | 2.05,0 | 4 | 2.20,0 | 4 |
| | 2.00,0 | 5 | 2.00,0 | 5 | 2.10,0 | 5 |
| 3. ზურგზე წოლელა მდგომარეობიდან წამოჯდომა (ხელები თავს უკან) | 20 | ჩათვლა | 23 | ჩათვლა | 17 | ჩათვლა |
| | 25 | 4 | 28 | 4 | 22 | 4 |
| | 30 | 5 | 33 | 5 | 27 | 5 |
| 4. ბუქნი წინმკლავი | 30 | ჩათვლა | 35 | ჩათვლა | 25 | ჩათვლა |
| 5. ცურვა (25 მ. დროის გარეშე) | — | ჩათვლა | — | ჩათვლა | — | ჩათვლა |

# გამოიცა ბრძანება

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ფიზიკურ კულტურაში საკონტროლო ნორმატივების ჩაბარებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიების გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს სპორტსახკომმა გამოსცა სავანგებო ბრძანება. ამ ბრძანებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის სპორტკომიტეტების და პროფკავშირული სპორტული საზოგადოების საბჭოების თავმჯდომარეებმა, სტადიონების დირექციებთან და ინსტიტუტების ფიზაღზრდის კათედრებთან ერთად მიმდინარე წლის 1 ივნისამდე უნდა უზრუნველყონ სტადიონების ნორმალური მომზადება და 1 ივნისიდან 12 ივლისამდე უსასყიდლოდ უზრუნველყონ აბიტურიენტთა მიერ საკონტროლო ნორმატივების ჩაბარების შეუფერხებელი მომსახურება და მიმღები კომისიისათვის საჭირო პირობების შექმნა. ბაზებზე ბრძანებით გამოჰყონ პასუხისმგებელი პირები. შექმნან საკონსულტაციო პუნქტები და გახსნან აბიტურიენტთა სურვილის მიხედვით მოკლევადიანი ფასიანი ჯგუფები, სადაც ეს შესაძლებელია.

შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ჩაატაროს სპორტული ბაზების მზადყოფნისა, მუშაობის ორგანიზაციისა და აბიტურიენტთა უკეთ მომზადების კონკურს-დათვალიერება და გამოავლინოს რესპუბლიკის სამი საუკეთესო სპორტული ბაზა.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. ლომაძეს.

# პასუხები შეკითხვებზე

● **ეხებათ თუ არა ჩათვლა იმათ, ვინც საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა?**

— დიახ, ეხებათ.

● **შეიძლება თუ არა ჩათვლაზე გასვლა განმეორებით?**

— აბიტურიენტს უფლება ეძლევა ჩათვლაზე გავიდეს სამჯერ.

● **სპორტის ოსტატი ეროვნულ სახეობაში თავისუფლდება თუ არა ჩათვლისაგან?**

— სსრ კავშირისა და საქართველოს სპორტის ოსტატები ნორმატივებს არ ჩააბარებენ.

● **შეიძლება თუ არა ნორმატივების ჩაბარება რუსთავში?**

— არა, ნორმატივებს აბარებენ ინსტიტუტების მიმღებ კომისიებს მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც არის უმაღლესი სასწავლებელი.

● **ფიზიკური მომზადებიდან სკოლაში განთავისუფლებული მოსწავლე თავისუფლდება თუ არა ჩათვლებისგან?**

— თავისუფლდება ის, ვინც სკოლა წელს დაამთავრა. აბიტურიენტმა მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს ატესტატი, სადაც ფიზიკურ აღზრდაში წერია „ჩაეთვალა" და არა ნიშანი.

● **მიმღები კომისიები სპორტულ ბაზებზე რომელ დღეებში იმუშავებენ?**

— ყოველდღე — შაბათისა და კვირის ჩათვლით.

● **თუ აბიტურიენტმა 9 ან 10 ქულა მოაგროვა ორი ნორმატივით, ექნება თუ არა რაიმე უპირატესობა თანაბარ ქულიანებთან შედარებით ჩარიცხვის დროს?**

— ორი ნორმატივის ჩათვლით 9 ან 10 ქულის მოგროვება უპირატესობას არ იძლევა ჩარიცხვის დროს. მხედველობაში მიიღება არა ნიშანი, არამედ „ჩათვლა".

**მადლობა გამოხმაურებისთვის ● ბოლო ფოსტიდან**

**სიახლეს** მხარს უჭერენ და თავიანთი წინადადებები შემოგვთავაზეს ვ. აბულაძემ (სოხუმი), რ. ადეიშვილმა (ქუთაისი), ი. ივანაშვილმა (საგარეჯო) და ზ. და მ. გორჩაშვილებმა (ცხინვალი), ყ. ფილიევმა (რუსთავი), ე. გელაშვილმა, ლ. გობეჯიშვილმა, თ. ხუციშვილმა, გ. ბაბილოძემ, ე. მაჩაბელმა (ყველა — თბილისი), ზ. მაისურაძემ (თელავი), გ. პაპაშვილმა, ც. ბზიკაძემ (დუშეთი), ი. ნოზაძემ (საჩხერე), რ. საკაშვილმა (გორი), ა. მოსულიშვილმა (გურჯაანი), გ. ქოქოშვილმა (ხაშური).

სიახლეს არ ეთანხმებიან ც. ჯორბენაძე და ნ. გლურჯიძე (ორივე — თბილისი). ისინი სკოლებს დებენ ბრალს სუსტ მუშაობაში. აზრს გვიზიარებენ კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებიც (ო. ტყეშელაშვილი, ი. გეგენავა), რომელთა შეხედულებაზე, ვფიქრობთ, დღევანდელ ჩვენს პუბლიკაციებში არის გაცემული პასუხი.

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XII ტურის მატჩები

### პირველი ჯგუფი

**„მადაროელი" (ჭიათურა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი ს. პრავოვი (გაგრა).** გოლები: ბრეგვაძე, სევასტოპულო („მადაროელი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლი: ლომიძე („დურუჯი").

**„ივერია" (ხაშური) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: აბაზაძე, ოსაძე („ივერია"), ჰყონია („მეშახტე").

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „არმაზი" (მცხეთა) 2:1. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი).** გოლები: გოზოზოვი, ხუბეჯიშვილი („სპარტაკი"), ყაჩლავაშვილი („არმაზი").

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 3:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).** გოლები: სილაგაძე, ფანჩულიძე, ახვლედიანი („საპოვნელა"), ახალკაცი („ქართლი").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).** გოლი: ვალაშვილი („ბახტრიონი").

**„სულორი" (ვანი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლი: ვერულაშვილი („სულორი").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლი: აფაქიძე („დინამო").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. აფენდოპულო („ამირანი").

**„მადნეული" (ბოლნისი) — „კოლხეთი" (ხობი) 2:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: ბადუგულავა, ჯაგოვი („მადნეული"), კაციტაძე („კოლხეთი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს, ხოლო შემდეგ მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ჯაგოვი („მადნეული").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (გაგრა) 2:2. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: ძაგანია, გოგაძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი), კვარაცხელია, რაგანიანი („დინამო").

**„სქური" (წალენჯიხა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: აფხაზავა, კვარაცხელია („სქური").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ხვიჩია („ეგრისი").

### XIII ტური
### 28-29 მაისი, მსაჯთა რეესტრი

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ბახტრიონი" (ახმეტა), **ა. კიკაბიძე** (მახარაძე), **ვ. ჯიქია** (ქობულეთი), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ივერია" (ხაშური), **თ. სოფრომაძე, ო. გუნთაძე** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „მეშახტე" (ტყიბული) — „სპარტაკი" (ცხინვალი), **რ. ფარცვანია, გ. კალანდია, რ. წურწუმია** (ზუგდიდი). „არმაზი" (მცხეთა) — „საპოვნელა" (თერჯოლა), **თ. ლაცაბიძე, ა. შილაკაძე, ა. მანუკიანი (თბილისი).** „შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (ზუგდიდი), **ვ. მიმინოშვილი, უ. ფურცელაძე, გ. თხელიძე** (თბილისი). „დინამო" (გაგრა) — „სქური" (წალენჯიხა), **თ. კურტანიძე, თ. ხადილიანი, ზ. თოფურია** (თბილისი). „დურუჯი" (ყვარელი) — „მადაროელი" (ჭიათურა), **ე. გვარამაძე, ა. ბეჟიაშვილი, ნ. ფოლადაშვილი (რუსთავი).** „ქართლი" (გორის რ-ნი) — „სულორი" (ვანი), **მ. მირცხულავა, კ. გვიჩია, მ. ნაკაიძე** (ლანჩხუთი). „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მადნეული" (ბოლნისი), **თ. ხადილიანი, თ. კურტანიძე, ზ. თოფურია (თბილისი).** „კოლხეთი" (ხობი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), **ა. კიკაბიძე** (მახარაძე), **ვ. ჯიქია** (ქობულეთი), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „ეგრისი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი), **ვ. მიმინოშვილი, გ. თხელიძე, უ. ფურცელაძე** (თბილისი).

### მეორე ჯგუფი
### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მეფრინველე" (კასპი) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 1:3, „ფოსტამტი" (თბილისი) — „მეტალისტი" (რუსთავი) 1:5, ახ. საფ. სკ. (თბილისი) — „თორი" (ბორჯომი) 1:2, სპი-„დინამო"-3 (თბილისი) — სსი (მუხრანი) 0:3, „არაგვი" (დუშეთი) — თსუ (თბილისი) 6:1, „ალგეთი" (მარნეული) — „თრიალეთი" (წალკა) 3:0, „იმედი" (თბილისი) — „სამგორი" (გარდაბანი) 5:1, „კახეთი" (თელავი) — „აბული" (ახალქალაქი) 1:0.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ოდიში" (ზუგდიდის რ-ნი) — „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) 4:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 0:0, „კოლხეთი"-2 (ფოთი) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 3:1, „მზიური" (გალი) — „ნარინჯი" (ქობულეთი) 2:1. „საირმე" (მაიაკოვსკი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 3:1.

### მესამე ჯგუფი
### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„მიონი"-35 (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 4:2, „ქიზიყი" (სიღნაღი) — „განთიადი" (დმანისი) 1:1, „ვარდისუბანი" (ლაგოდეხის რ-ნი) — სპი (თბილისი) 3:2, „სინათლე"-სპორტინტერნატი (თბილისი) — „თუშეთი" (ქვემო ალვანი) 0:4, „ნაფარეული" (თელავის რ-ნი) — „მარაბდა" (კოდა) 2:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „კოლმეურნე" (მარნეულის რ-ნი) 7:0.

რუსთავის „მეტალურგი"-2 სათამაშოდ არ გამოცხადდა წითელ წყაროში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„იბერია" (ქარელი) — „ხვამლი" (ცაგერი) 2:1, „ავტომობილისტი" (გორი) — „მშენებელი" (ჭიათურა) 1:2, „ლიახვი" (ცხინვალის რ-ნი) — „ფარვანა" (ბოგდანოვკა) 1:1, „ბაგიათი" (ჯავა) — „მეავეჯე" (ახალდაბა) 1:1.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი" (ქედა) — „ზანა" (აბაშა) 2:1, „კოლხიდა" (ქუთაისი) — „მელექედური" (მახარაძის რ-ნი) 1:2, „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ახალსოფელი" (ზუგდიდის რ-ნი) 4:3, „ალიონი" (გალის რ-ნი) — „განთიადი" (ცხაკაია) 2:2, „უნივერსიტეტი" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ბათუმი) 2:1, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:3.

### I ჯგუფი, გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 26 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი" | 12 | 8 | 3 | 1 | 15-7 | 19 |
| „დინამო" ზ. | 12 | 7 | 4 | 1 | 23-8 | 18 |
| „კოლხეთი" | 12 | 8 | 1 | 3 | 25-12 | 17 |
| „მადნეული" | 12 | 7 | 2 | 3 | 20-16 | 16 |
| „შადრევანი" | 12 | 6 | 3 | 3 | 14-9 | 15 |
| „ამირანი" | 12 | 6 | 2 | 4 | 20-11 | 14 |
| „ბახტრიონი" | 12 | 6 | 2 | 4 | 16-13 | 14 |
| „სამეგრელო" | 12 | 6 | 1 | 5 | 14-18 | 13 |
| „სალხინო" | 12 | 5 | 2 | 5 | 18-20 | 12 |
| „დინამო" გ. | 12 | 5 | 2 | 5 | 12-15 | 12 |
| „მეტალურგი" | 12 | 5 | 1 | 6 | 20-15 | 11 |
| „მეშახტე" | 12 | 5 | 1 | 6 | 11-14 | 11 |
| „მადაროელი" | 12 | 4 | 3 | 5 | 14-17 | 11 |
| „ქართლი" | 12 | 4 | 3 | 5 | 16-23 | 11 |
| „დურუჯი" | 12 | 3 | 5 | 4 | 13-18 | 11 |
| ფიზ. ინს. თბ. | 12 | 2 | 6 | 4 | 17-21 | 10 |
| „საპოვნელა" | 12 | 4 | 1 | 7 | 16-17 | 9 |
| „სქური" | 12 | 3 | 3 | 6 | 13-17 | 9 |
| „ივერია" | 12 | 3 | 3 | 6 | 11-19 | 9 |
| „ეგრისი" | 12 | 2 | 4 | 6 | 10-18 | 8 |
| „არმაზი" | 12 | 2 | 3 | 7 | 14-18 | 7 |
| „სპარტაკი" | 12 | 2 | 3 | 7 | 14-20 | 7 |

# ისე, როგორც დიდ ფეხბურთში

ბიჭვინთასა და ალახაძეში 10 დღეს მიმდინარეობდა 1974 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ჩემპიონატი განათლების სამინისტროს სპორტსკოლათა გუნდებს შორის. რესპუბლიკის 8 საუკეთესო კოლექტივმა ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება შესარჩევ ტურნირებში მოიპოვა (თბილისი, ქუთაისი, აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი, რუსთავი, საჩხერე, მახარაძე).

შეჯიბრების ორგანიზატორებმა გუნდები ორ ჯგუფად დაჰყვეს, საინტერესო თამაშების შემდეგ ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და საჩხერის რაიონის გუნდებმა. თბილისის, ქუთაისისა და აფხაზეთის წარმომადგენლები ამ შეჯიბრებათა უცვლელი ფავორიტები არიან, ხოლო პირველი სიურპრიზი საჩხერის ყველაზე ახალგაზრდული გუნდის ფინალში თამაში იყო.



ტურნირში გამარჯვებული ქუთაისელ მოსწავლეთა გუნდი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საინტერესოდ წარიმართა ნახევარფინალები. თბილისელებმა დაამარცხეს საჩხერელები — 2:0. დაძაბული გამოდგა მეორე ნახევარფინალი აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდებს შორის. ქუთაისელმა ჭაბუკებმა გაიმარჯვეს— 3:1 და მეორე ფინალისტის ვინაობაც გაირკვა.

ყველა გუნდი გაგრის სასტუმრო „აფხაზეთში" ცხოვრობდა, მონაწილეთა დღის რეჟიმი ძალზე წააგავდა დიდი ფეხბურთისას — თამაშები, დასვენება, კვება. დროის მოკლე მონაკვეთში ნორჩმა ფეხბურთელებმა შეძლეს ერთმანეთთან დამეგობრება. თამაშებიდან თავისუფალ დროს ისინი საუბრობდნენ ან კამათობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

...აი ფინალიც. ალახაძეში დინამოელთა ბაზაზე ჯერ III-IV ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. თამაშის ორივე ნახევარი საინტერესო ბრძოლაში წარიმართა. საჩხერელმა ფეხბურთელებმა შეხვედრის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე შესძლეს გამარჯვების გოლის გატანა და ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს (საჩხერელთა გუნდს წვრთნიან ჯ. მიქაძე და ა. ოვანოვი).

ფინალურმა შეხვედრამ ქუთაისისა და თბილისის გუნდებს შორის დაძაბულ, საინტერესო ორთაბრძოლაში ჩაიარა. ქუთაისელებმა თამაში კონტრშეტევებზე ააგეს, მათი სწრაფი თავდამსხმელები ხშირად აყენებდნენ თბილისელებს კრიტიკულ სიტუაციებში, მაგრამ თბილისელთა კარის დარაჯი თ. ჩლაიძე მოწოდების სიმაღლეზე იყო. ორმა 35-წუთიანმა ტაიმმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, დებულების თანახმად დაინიშნა ხუთხუთი 11-მეტრიანი დარტყმა. ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს— 5:4. ქუთაისელთა გუნდი შეჯიბრებისთვის მოამზადეს დ. ჩოგოვაძემ და თ. ხელიძემ. მეორე ადგილზე თბილისელები გავიდნენ (მწვრთნელი თ. ლორთქიფანიძე და ვ. მელაშვილი).

დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის. საუკეთესო მეკარედ თბილისელი თ. ჩლაიძე დაასახელეს, საუკეთესო მცველებისთვის დაწესებული პრიზი მ. ხუცურეიშვილს გადაეცა. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი ქუთაისელ ვ. ჯანელიძეს მიაკუთვნეს, თავდამსხმელისა კი თბილისელ ბ. ტეხაშვილს.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც საკავშირო შეჯიბრებაში დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას.

**ზაზა კახაძე.**

# როგორაა დისციპლინის საქმე?

**რესპუბლიკის წლევანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში I ჯგუფის გუნდებს შორის ჩატარებულია 12 ტური. დღემდე გააფრთხილეს 67 ფეხბურთელი, მინდვრიდან კი გააძევეს ორნი. შარშან პირველ 12 ტურში გააფრთხილეს 102 და მინდვრიდან გააძევეს 9 მოთამაშე.**

წელს ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი დაიმსახურეს ზუგდიდის „დინამოს" ფეხბურთელებმა — 9, 5-5 გაფრთხილება აქვთ გეგეჭკორის „სალხინოს", თერჯოლის „საპოვნელას" და ბოლნისის „მადნეულს", 4-4 — ყვარლის „დურუჯს", ცხაკაიას „ეგრისს" და გორის რაიონის „ქართლს", 3-3 — ხობის „კოლხეთს", გაგრის „დინამოს", ფიზკულტურის ინსტიტუტს, ხაშურის „ივერიას" და ოჩამჩირის „ამირანს", 2-2 გაფრთხილება მიიღეს ვანის „სულორის", ჩხოროწყუს „სამეგრელოს", ტყიბულის „მეშახტის", ჭიათურის „მადაროელის", წალენჯიხის „სქურის" და ცხინვალის „სპარტაკის" ფეხბურთელებმა, თითო — ახმეტის „ბახტრიონის", ზესტაფონის „მეტალურგის", მცხეთის „არმაზის" და წყალტუბოს „შადრევანის" მოთამაშეებმა.

სერიოზული დარღვევა მოხდა XI ტურის შეხვედრაში. მსაჯის შეურაცხყოფისთვის გაგრაში მინდვრიდან გააძევეს ბოლნისელი ვ. სამხარაძე, ამავე მიზეზით XII ტურში ისევ ბოლნისელთა გუნდიდან გააძევეს გ. ჯაგოვი. დარღვევა მოხდა აგრეთვე IX ტურის მატჩში, როცა ტყიბულის „მეშახტე" მცხეთის „არმაზს" მასპინძლობდა. მცხეთელთა გუნდში ითამაშა ფეხბურთელმა, რომელიც განაცხადში საერთოდ არ ჰყავდათ შეყვანილი. მცხეთის „არმაზს" ამ მატჩში დამარცხება ჩაეთვალა.

წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილმა ტურებმა გვიჩვენა, რომ ბევრ კოლექტივში გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა.

## ბრაზილია — დანარჩენი სამყარო

ბრაზილიის საფეხბურთო წრეები უახლოეს ხანებში აპირებენ რიო-დე-ჟანეიროს გიგანტურ „მარაკანას" სტადიონზე მოაწყონ საერთაშორისო მატჩი ბრაზილიისა და ე. წ. „დანარჩენი სამყაროს" ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

ამ მატჩის დეტალები ჯერ ცნობილი არაა, მაგრამ ბრაზილიელებმა ოფიციალური მიწვევა უკვე გაუგზავნეს ფრანგ ფეხბურთელს მ. პლატინის, რომელიც 22 მაისს საფრანგეთისა და მსოფლიოს ნაკრები გუნდების მატჩის ორგანიზატორი და მთავარი მოქმედი პირი იყო.

**1989 წელს** საუდის არაბეთში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი 19 წლამდე ფეხბურთელთა შორის. სამხრეთ ამერიკაში გამოვლინდა 3 გუნდი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ შეჯიბრებაში: ბრაზილია, არგენტინა და კოლუმბია. მათ წარმატებას მიაღწიეს სამხრეთ ამერიკის პირველობის გათამაშებაში.

**გამოვლინდა** იტალიის მეოთხე გუნდი, რომელიც უეფა-ს თასის შემდგომ გათამაშებაში დაიცავს იტალიის საფეხბურთო ღირსებას. „იუვენტუსისა" და „ტორინოს" მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ დამთავრდა — 0:0, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვა „იუვენტუსმა" — 4:2. ეს გუნდი დაემატება იტალიელთა სხვა კლუბებს — „ნაპოლის", „რომას", „ინტერს".

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ფრანც ბეკენბაუერმა გამოაცხადა თავისი გუნდის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ნაკრების შემადგენლობაში არიან გამოცდილი მოთამაშეები ფელერი, მატეუსი, ლიტბარსკი, ბრემე და ახალგაზრდებიც — ტონი, კლინსმანი, ეკშტაინი, დორფნერი. გფრ-ის გუნდი ბრემენში 4 ივნისს ბოლო საკონტროლო მატჩს გამართავს იუგოსლაველ ფეხბურთელებთან.

## ინგლისის ლიგის თასზე

ლონდონის ცნობილი „უემბლის" სტადიონზე 100 ათასი მაყურებელი დაესწრო ინგლისის პროფესიული ლიგის თასის ფინალურ მატჩს „ლივერპულსა" და „უიმბლდონს" შორის. ინგლისის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ ეს მატჩი დაუკავშირა თავისი არსებობის 100 წლისთავს, ამიტომაც უშუალოდ სტადიონზე დამსწრე ასი ათასი მაყურებლის გარდა თამაშს, როგორც იტყობინებიან, თვალს ადევნებდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების დაახლოებით 500 მილიონი ტელემაყურებელი.



პროგნოზების საწინააღმდეგოდ „უიმბლდონმა" შეძლო თავისი ძლიერი მეტოქის დამარცხება — 1:0 და საპატიო პრიზს დაეუფლა.

**დამთავრდა** ევროპის თასის გათამაშება 16 წლამდე ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ფინალური თამაში შედგა მადრიდში, ესპანელებმა მატჩისშემდგომი დამატებითი პენალტებით მოუგეს პორტუგალიელ ფეხბურთელებს — 4:2 (ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ—0:0).

ტურნირში, რომელიც ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა, ფინალისტთა გარდა გამოდიოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ავსტრიის, შვეციის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, უნგრეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ირლანდიის, შვეიცარიისა და ბელგიის გუნდები.

**იტალიის** ფეხბურთელთა უფროსმა მწვრთნელმა ა. ვიჩინიმ ფლორენციაში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მომავალ ფინალურ ტურნირს მიეძღვნა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინალური გათამაშების უმთავრესი ფავორიტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები იქნება. ეს გუნდი საკუთარ სტადიონებზე, მაყურებელთა აქტიური მხარდაჭერით, ხელიდან არ გაუშვებს ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობას.

მაგრამ, დაუმატა ა. ვიჩინიმ, აუტსაიდერები ამ შეჯიბრებაზე არ იქნებიან. ერთადერთი გუნდი, რომელიც ჯერჯერობით „აუტსაიდერად" რჩება, ირლანდიის ნაკრებია.

რალისტთა საკავშირო ჩემპიონატი ● შესარჩევი შეჯიბრება

# საქართველოს რალისტები — ფინალში

**ხუთი** საპრიზო და გუნდური პირველი ადგილი — ასეთი შედეგით დაამთავრეს საქართველოს რალისტებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის შესარჩევი ასპარეზობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის გარდა სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და თურქმენეთის სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ ავტოსპორტი ძალზე რთული, ვაჟკაცური სახეობაა, რომელიც სპორტსმენისგან ავტომობილის მართვის ზედმიწევნით ფლობის გარდა მისი „ორგანიზმის" სრულყოფილად ცოდნას, დიდ გამბედაობას, ტაქტიკური ბრძოლის უნარს, თავდადებასა და რისკს მოითხოვს, ზედმეტადაც მიგვაჩნია. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენმა რალისტებმა ყველა ეს თვისება სრულად გამოავლინეს და დამსახურებულად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება. ეს შეჯიბრება ივნისში გაიმართება ლატვიის ქალაქ კულდიგაში.

რაც შეეხება ასპარეზობას, იგი, მსაჯებისა და თავად სპორტსმენების აზრით, საკმაოდ რთული და საინტერესო იყო. 562 კილომეტრიანი ტრასის მარშრუტი გადიოდა თბილისის ზღვაზე, ლენინისზე, ცხვარიჭამიაზე, საგურამოზე და სხვა დასახლებულ პუნქტებზე, რაც სპორტსმენებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. პროგრამაში იყო ღამის რბოლებიც.

სტარტი კი მრბოლებმა თბილისში, რიყეზე აიღეს. სამწუხაროდ, მატჩის ორგანიზატორების დაპირება და მათს სიტყვებზე დაყრდნობით ჩვენი გაზეთის რეკლამაც, რომ იქნებოდა „ფიცარნაგი, საიდანაც მსაჯის ნიშნის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით ეშვებიან ლამაზად მოხატული ავტომობილები", არ გამართლდა. არა, ისე ნუ გაიგებთ, რომ ან მსაჯს არ მიეცია ნიშანი, ან მანქანები არ იყვნენ ლამაზად მოხატული. არ იყო ფიცარნაგი, რომელიც უდავოდ ეშხსა და სილამაზეს შემატებდა ამ საინტერესო შეჯიბრებას. ჯერ ერთი ამ რანგის ასპარეზობები არცთუ ხშირად იმართება ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მეორეც — რალის სპეციფიკურობა იმაშია, რომ მაყურებელს არა აქვს საშუალება მის მთელ მიმდინარეობას ადევნოს თვალყური და ამიტომ, ჩვენი აზრით (და ალბათ მაყურებლის შეხედულებითაც) შეჯიბრების საზეიმო გახსნა და სტარტი მარტო დროშის აღმართვითა და მონაწილეთა პატაკით არ უნდა შემოიფარგლოს. იგი უფრო მიმზიდველი უნდა იყოს, რაც გარკვეულწილად, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს.

ყოველივე ზემოთქმული, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ ეხებათ ჩვენს სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელს რობერტ გალუსტიანს, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს ყველაფერი, რაც მათზე იყო დამოკიდებული და ახლა ფინალური ასპარეზობისთვის ემზადებიან. წარმატება ვუსურვოთ მათ!

**ვიქტორ კვარაცხელია.** [partly obscured by stamp]

**ტექნიკური შედეგები:**

**პირადი: VIII კლასი („ჟიგული", 1600 კბ. სმ).** 1. ვახტანგ ქარსელაძე, გარი კოგოსოვი; 2. დავით წიკლაური, პაატა ლამბარაშვილი (ყველა — საქართველო); 3. ამიტ უმაროვი, ვიტალი ხომენკო (უზბეკეთი). **VII კლასი („ჟიგული" 1300 კბ. სმ).** 1. გიორგი ლომინაძე, გიორგი დავიდოვი; 2. გრიგოლ ბახტაძე, ოლეგ ლევიცკი, 3. ვალერი კობზარიუკი, ნიკოლოზ მელითაური (ყველა — საქართველო). **X კლასი („ვოლგა").** 1. ვლადიმერ განინი, ვლადიმერ კოროვინი (მოლდავეთი), 2. იურიკ სტეპანიანი, არსენ მარუტიანი (სომხეთი); 3. ყურბანგელდი მერედოვი, ევგენი ზარგარიანცი (თურქმენეთი).

**გუნდური:** 1. საქართველო; 2. სომხეთი; 3. უზბეკეთი.





• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საქართველოს ნაკრების წარმომადგენლების ვახტანგ ქარსელაძე — გარი კოგოსოვის (№ 2) და დავით წიკლაური — პაატა ლამბარაშვილის (№ 6) ეკიპაჟები სტარტზე.**

---

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

## რჩება ორი ტური

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა 48-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. გათამაშდა XI ტურის შეხვედრები. საინტერესო გამოდგა გენადი ზაიჩიკისა და გია გიორგაძის პარტია. თეთრებმა დებიუტში მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღეს, მაგრამ გიორგაძემ თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და ცენტრში წამოიწყო შეტევა. 25-ე სვლისთვის ლაზიერები გაიცვალა. ზაიჩიკმა პაიკი მოიგო და a ვერტიკალზე მიღებული გამსვლელი პაიკი აამოძრავა. გიორგაძემ ფიგურები გაცვალა და კუთა ენდშპილში თეთრებს ზედმეტი პაიკი დარჩათ, რის შედეგადაც ზაიჩიკმა შეძლო გამარჯვების მოპოვება.

დავით ჩაჩიბაიასა და თამაზ ტაზატაძის პარტიაში გათამაშდა ფრანგული დაცვის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი, შავებმა სწრაფად გაათანაბრეს პოზიცია, შემდეგ კი უპირატესობასაც დაეუფლნენ. მათ შეძლეს ცენტრში სამი გადაბმული პაიკის მიღება, მიტელშპილში თანდათანობით აამოძრავეს ისინი და საბოლოოდ შეძლეს მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება.

არც თუ სახარბიელო სტარტის შემდეგ თანდათანობით გამოასწორა მდგომარეობა საერთაშორისო ოსტატმა იგორ ეფიმოვმა. როგორც გახსოვთ მას პირველ V ტურში მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა. შემდეგ კი ზედიზედ 4 პარტია მოიგო. XI ტურში იგი თეთრი ფიგურებით ეთამაშებოდა ქუთაისელ ოსტატობის კანდიდატ ბესიკ ხეცურიანს, გაიმართა რთული მანევრული ბრძოლა, რის შემდეგაც ეფიმოვმა შეძლო f ვერტიკალის გახსნა და მძიმე ფიგურებით შეიჭრა მეტოქის მეფის ბანაკში. შემდეგ მან ხარისხიც მოიგო და გაიმარჯვა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: კიკიანი-გოგიჩაიშვილი — 0:1, სუპატაშვილი-გურგენიძე — 0,5:0,5, თორია-ბალათუროვი — 0,5:0,5, გადაიდო ზურაბ მიქაძისა და გოჩა ტყებუჩავას პარტია.

11 ტურის შემდეგ 9,5 ქულით კვლავ ლიდერობს გია გიორგაძე. მას ერთი ქულით ჩამორჩება თამაზ ტაბატაძე, შემდეგ მოდიან გია ბალათუროვი, იგორ ეფიმოვი — 7,7, გენადი ზაიჩიკი (ყველა — თბილისი) — 6.

**ვასილ ვაშაკიძე.**

---

## ორმოცდამეერთე ფინიში

**მშვიდობის** 41-ე ველორბოლის ბოლო ეტაპი დესაუდან ბერლინამდე (154 კილომეტრი) იტალიელმა ჯოვანი ფიდანცამ მოიგო. ეს ცნობილი გახდა ფინიშზე ფოტოფირის გამჟღავნების შემდეგ. გამარჯვებულის დრო ბონიფიკაციის გათვალისწინებით 4 საათს 21 წუთსა და 23 წამს შეადგენს. საბჭოთა ველოსიპედისტი ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი იტალიელს 4 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა რაიმუნდ ლენერტი (გფრ).

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი საბჭოთა ნაკრებმა დაისაკუთრა — 152:17.38. გდრ-ის გუნდს 51 წამით უარესი შედეგი აქვს. მესამე საპრიზო ადგილი პოლონელ ველოსიპედისტებს ხვდათ.

დაფნის გვირგვინი პირად ჩათვლაში გამარჯვებისთვის გდრ-ის წარმომადგენელმა, 23 წლის უვე ამპლერმა მიიღო — 50:42.02. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები ვლადიმერ პულნიკოვი (ჩემპიონს 33 წამით ჩამორჩა) და პიოტრ უგრიუმოვი (45).

---

## „ფორმულა-1": ფირმები, მრბოლები

### „უილიამსი"

**70-იან** წლებში ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში ყოფილმა ავტომრბოლმა ფრენკ უილიამსმა გახსნა პატარა სახელოსნო და დაიწყო სპორტული ავტომობილების კონსტრუირება. მალე სპონსორიც იშოვა. არაბ შეიხთა მხარდაჭერით მან „ფორმულა 1"-ის კლასის ავტორბოლაში მონაწილეობის უფლების ლიცენზია მიიღო.

„უილიამსის" დებიუტი შედგა 1975 წელს არგენტინაში. სულ 199 „დიდი პრიზის" გათამაშებიდან მოგებულია 37.

პილოტთა შორის „უილიამსი" მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონია: ალან ჯოუნსი (ავსტრალია, 1980 წ.), კეკე როსბერგი (ფინეთი, 1982 წ.) ნელსონ პიკე (ბრაზილია, 1987 წ.).

კონსტრუქტორთა შორის „უილიამსი" ოთხჯერ იყო პირველი (1980, 1981, 1986, 1987 წწ.).

პირველი „დიდი პრიზი" „უილიამსის" ავტომობილით მოიპოვა შვეიცარიელმა კლეი რეგაცონიმ 1979 წელს ინგლისში, ბოლო — ინგლისელმა ნაიჯელ მენსელმა 1987 წლის 18 ოქტომბერს მექსიკაში.

მოპოვებული გამარჯვებებით ლიდერობს ნაიჯელ მენსელი. 1985-87 წლებში მან 13 „დიდი პრიზი" მოიგო.

გთავაზობთ „უილიამსის" ავტომობილით მოასპარეზე სპორტსმენთა გვარებს: ჟაკი იქსი (ბელგია, 1975-79 წწ.), ალან ჯოუნსი (ავსტრალია, 1979-81 წწ.), კლეი რეგაცონი (შვეიცარია, 1979 წ.), კარლოს რეუტემანი (არგენტინა, 1980-82 წწ.), კეკე როსბერგი (ფინეთი 1983-85 წწ.), ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, 1985 წლიდან დღემდე), ნელსონ პიკე (ბრაზილია, 1986-87 წწ.).

წელს მენსელთან ერთად ასპარეზობს იტალიელი რიკარდო პატრეზე.

### „მაკლარენი"

**„მაკლარენის"** მარკის დებიუტი „ფორმულა 1"-ის კლასის ავტომობილებით რბოლაში 1966 წელს, მონაკოში შედგა, მონტე-კარლოს „დიდი პრიზის" გათამაშების დროს. 70-იანი წლების ბოლომდე ამ ფირმას „ფორდი" ამარაგებდა ძრავებით, შემდეგ დასავლეთგერმანული „პორშე". შარშან წლის ბოლოს კი „მაკლარენთან" კონტრაქტს ხელი მოაწერა იაპონურმა „ჰონდამ".

ამ 21 წლის მანძილზე 304 „დიდი პრიზის" გათამაშებიდან მოგებულია — 57.

პილოტთა შორის „მაკლარენი" მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონია: ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, 1974) ჯეიმს ჰანტი (ინგლისი, 1976 წ.), ნიკი ლაუდა (ავსტრია, 1984 წ.), ალენ პროსტი (საფრანგეთი, 1985-1986 წწ.)

კონსტრუქტორთა შორის „მაკლარენი" სამჯერ იყო პირველი (1979, 1984, 1985 წწ.).

პირველი „დიდი პრიზი" „მაკლარენის" ავტომობილით 1968 წელს ბელგიაში მოიპოვა ინგლისელმა ბრუს მაკლარენმა, ბოლო — ფრანგმა ალენ პროსტმა 1988 წლის 3 მარტს ბრაზილიაში.

გთავაზობთ იმ სპორტსმენთა გვარებს, რომლებიც სხვადასხვა დროს „მაკლარენის" ავტომობილით ასპარეზობდნენ: ბრუს მაკლარენი (ინგლისი, 1966-1970 წწ.), დენის ჰალმი (ახალი ზელანდია, 1967-1974 წწ.). პიტერ გეტონი (ინგლისი, 1971 წ.), პიტერ რევსონი (აშშ, 1972-1973 წწ.), ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია, 1974-1975 წწ.), იოჰენ მასი (გფრ, 1975-1977 წწ.), ჯეიმს ჰანტი (ინგლისი, 1976-1978 წწ.), ჯონ უოტსონი (ირლანდია, 1979-1983 წწ.), ნიკი ლაუდა (ავსტრია, 1982-1985 წწ.), ალენ პროსტი (საფრანგეთი, 1984 წლიდან დღემდე). წელს მასთან ერთად „მაკლარენის" გუნდში ასპარეზობს ბრაზილიელი აირტონ სენა.

**დავით ჩუხინიძე.**

---

## „დიდი მუზარადის" ნაწილი

**საფრანგეთის** ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირთან, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატებთან ერთად „დიდი მუზარადის" სერიაში შედის და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ შეჯიბრებად ითვლება. სწორედ ამიტომ, წლევანდელ გათამაშებაში მსოფლიოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს ტრავმირებული ჯიმი კონორსისა (აშშ) და მიროსლავ მეჩირჟის (ჩეხოსლოვაკია) გარდა.

საბჭოთა ჩოგბურთელთაგან ყველაზე მრისხანე მეტოქე პირველ წრეში ალექსანდრე ვოლკოვს ერგო — ამერიკელი ჯონ მაკინროუ. ვოლკოვმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ამერიკელს, მაგრამ, ცხადია, მაინც დამარცხდა — 6:7, 1:6, 6:7.

პირველსავე შეხვედრაში მოუხდა ფარ-ხმლის დაყრა ნატალია ბიკოვასაც. მას ამერიკელმა მიშელ ტორესმა მოუგო 6:1, 6:2.

ტალინელი ანდერს ვისანდი ძირითად ტურნირში შერჩევითი შეჯიბრებების შემდეგ გავიდა. პირველ წრეში კი მან ჰოლანდიელი მენო ოსტინგი დაამარცხა 6:4, 6:1, 6:1.

სტარტზე გამარჯვებები მოიპოვეს ანდრეი ჩესნოკოვმა (მოუგო ავსტრალიელ ჯონ ფროლის 6:2, 6:4, 7:6) და ნატალია ზვერევამ (დაამარცხა იტალიელი ლაურა გოლარსი 7:6, 6:0), აგრეთვე, ტურნირის ფავორიტებმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია), მატს ვილანდერმა (შვეცია), ბორის ბეკერმა (გფრ), პატ კეშმა (ავსტრალია), შტეფი გრაფმა (გფრ), მარტინა ნავრატილოვამ და კრის ევერტმა (ორივე — აშშ).

---

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 26 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.30 (2)**; ჯანმრთელი რომ იყო (გადაცემა მესამე) — **21.45 (2)**.

**27 მაისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00**; ჯანმრთელი რომ იყო (მეოთხე გადაცემა) — **21.45 (2)**; ბალტიისპირეთის ქვეყნების ველორბოლა „დრუჟბა" (გადაცემა ფინეთიდან) — **24.00 (2)**.

**საქართველოს რადიო.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში (I ლიგა) — **23.30**.

### სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 26 მაისი. საკავშირო პირველობა II ლიგის IX ზონის გუნდებს შორის. „ლოკომოტივი"-ოლიმპ. მომზ. ცენტრი (თბილისი) — „სოკოლი" (სარატოვი). დასაწყისი 16 ს.

რედაქტორი

**თ. ბაჩეჩილაძე.**

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**(წერეთლის გამზირი № 2)**

**29 მაისი**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ფედერაციის თასი

„დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

დასაწყისი 18 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 28 და 29 მაისს 10 საათიდან.

**„ლოკომოტივის" სტადიონი**

**(ილია ჭავჭავაძის გამზირი, 74)**

**26 მაისი**

**რაგბი**

საბჭოთა კავშირის პირველობა

**უმაღლესი ლიგა**

როკ „ელმავალი" (თბილისი) — ახკ (ალმა-ათა)

დასაწყისი 18 სთ. და 30 წთ.

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზდიენი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშტარიას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05362